პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

გაზეთი ვარდოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

KOMUNISTI — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1977 კვირა 16 ოქტომბერი № 243 (16983) ფასი 2 კაპ. 1977


## სკკპ ცენტრალური კომიტეტში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა და რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავის აღსანიშნავად 1977 წლის 2 ნოემბერს ქალაქ მოსკოვის კრემლის ყრილობათა სასახლეში გაიმართოს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოსა და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს გაერთიანებული საზეიმო სხდომა.

# სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდებანი

## დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისათვის

1. გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის სახელოვან მე-60 წლისთავს!

2. გაუმარჯოს დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას — XX საუკუნის მთავარ მოვლენას, კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ კაცობრიობის მსოფლიო-ისტორიული შემობრუნების დასაბამს!

3. გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს — დიდი ოქტომბრის ძლევამოსილ დროშას, ყველა ქვეყნის მშრომელთა მძლავრ იდეურ იარაღს იმპერიალიზმის წინააღმდეგ, სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში!

4. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ კომუნისტურ პარტიას — ძლევამოსილი ოქტომბრის რევოლუციის სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს, მუშათა კლასის, მთელი საბჭოთა ხალხის ნაცად ავანგარდს კომუნიზმისათვის ბრძოლაში!

5. მარად ცოცხლობდეს საუკუნეებში ვლადიმერ ილიას ძე ლენინის — ოქტომბრის რევოლუციის ბელადის, კომუნისტური პარტიისა, და მსოფლიოს პირველი სოციალისტური სახელმწიფოს შემქმნელისა და ხელმძღვანელის სახელი და საქმე!

6. მარად ცოცხლობდეს ხალხის ხსოვნაში ოქტომბრის ლენინური გვარდიის, სახელოვანი ბოლშევიკ-ლენინელების, სოციალიზმის გამარჯვებისათვის ყველა მებრძოლის უმაგალითო გმირობა!

7. სახელი და დიდება გმირ საბჭოთა ხალხს — კომუნიზმის მშენებელს, მთელი მსოფლიოს მშვიდობისათვის მტკიცე მებრძოლს!

8. გაუმარჯოს საბჭოეთის გმირ მუშათა კლასს — კომუნიზმის მშენებლობის წამყვან ძალას!

9. გაუმარჯოს სახელოვან კოლმეურნე გლეხობას — კომუნიზმის აქტიურ მშენებელს!

10. გაუმარჯოს საბჭოთა სახალხო ინტელიგენციას — კომუნიზმის აქტიურ მშენებელს!

11. გაუმარჯოს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და სახალხო ინტელიგენციის ურღვევ კავშირს! დაე, მტკიცდებოდეს საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-პოლიტიკური და იდეური ერთიანობა!

12. გაუმარჯოს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ურღვევ ერთიანობას — სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი აყვავების წყაროს, კომუნიზმის სრული გამარჯვების გარანტიას!

13. გაუმარჯოს სსრ კავშირის ხალხთა ძმურ მეგობრობასა და ურყევ ერთიანობას — ოქტომბრის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის დიად მონაპოვარს!

14. გაუმარჯოს საბჭოთა კონსტიტუციას — მსოფლიოს პირველი საერთოსახალხო სოციალისტური სახელმწიფოს ძირითად კანონს!

15. საბჭოთა კავშირის მოქალაქენო! განუხრელად დაიცავით სსრ კავშირის კონსტიტუცია — ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი!

16. გაუმარჯოს სახალხო დეპუტატთა საბჭოებს, რომლებიც სსრ კავშირის პოლიტიკურ საფუძველს შეადგენენ! დაე, ფართოვდებოდეს მუშების, გლეხების, ინტელიგენციის მონაწილეობა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაში!

17. გაუმარჯოს სოციალისტურ დემოკრატიას, რომელიც ნამდვილ სახალხო ხელისუფლებასა და სოციალურ სამართლიანობას უზრუნველყოფს!

18. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! იბრძოლეთ სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების, მეათე ხუთწლედის დიადი პროგრამის განხორციელებისათვის!

წინ, კომუნისტური მშენებლობის ახალი წარმატებებისაკენ!

19. კომუნისტებო! მუდამ იყავით სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ავანგარდში, მასების აქტიური ორგანიზატორები და აღმზრდელები!

20. საბჭოთა პროფკავშირებო! უფრო ფართოდ გააჩაღეთ სოციალისტური შეჯიბრება წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისა და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებისათვის!

გაუმარჯოს საბჭოთა პროფკავშირებს — მართვის სკოლას, მეურნეობრიობის სკოლას, კომუნიზმის სკოლას!

21. ქალიშვილებო და ჭაბუკებო! განუხრელად გამოიმუშავეთ კომუნისტური მრწამსი! ისწავლეთ ლენინურად, კომუნისტურად ცხოვრება, მუშაობა და ბრძოლა!

22. გაუმარჯოს ლენინურ კომკავშირს — კომუნისტური პარტიის საიმედო თანაშემწესა და საბრძოლო რეზერვს, კომუნიზმის ახალგაზრდა მშენებელთა მოწინავე რაზმს!

23. გაუმარჯოთ საბჭოთა ქალებს — მგზნებარე პატრიოტებს, შრომითი და საზოგადოებრივი ცხოვრების აქტიურ მონაწილეებს! სახელი და დიდება დედაქალს, რომელიც თავისი გულის მხურვალეობას ახმარს შვილების — კომუნიზმის მომავალი მშენებლების აღზრდას!

24. გაუმარჯოს სსრ კავშირის მამაც შეიარაღებულ ძალებს, რომლებიც ოქტომბრის, საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომის სადარაჯოზე დგანან!

25. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! იბრძოლეთ საიუბილეო 1977 წლის გეგმის წარმატებით შესრულებისათვის! განუხრელად იღვაწეთ შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის, წარმოების ეფექტიანობისა და მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის!

26. დიდება წარმოების მოწინავეებს, რომლებმაც დიდ წარმატებებს მიაღწიეს მეათე ხუთწლედის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში!

27. მრეწველობის მუშაკებო! იბრძოლეთ ჩვენი სამშობლოს ინდუსტრიული ძლიერების შემდგომი განვითარებისა და განმტკიცებისათვის!

ფართო გზა ახალ ტექნიკასა და პროგრესულ ტექნოლოგიას!

28. მრეწველობის მუშაკებო! მტკიცედ იბრძოლეთ სახალხო მოხმარების მაღალხარისხოვანი საქონლის წარმოების გადიდებისათვის! განაახლეთ მისი ასორტიმენტი, უფრო სრულად დაკმაყოფილეთ საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილებანი!

29. მშენებლობის მუშაკებო! აშენეთ სწრაფად, მკვიდრად, ეკონომიურად და თანამედროვე ტექნიკურ საფუძველზე! დროულად აამოქმედეთ ახალი ობიექტები!

30. ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის მუშაკებო! განავითარეთ და სრულყავით ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საშუალებანი! ყოველნაირად გააუმჯობესეთ სახალხო მეურნეობის მომსახურება, უფრო სრულად დააკმაყოფილეთ საბჭოთა ადამიანების მოთხოვნილებანი!

31. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! აქტიურად შეასხით ხორცი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის აგრარულ პოლიტიკას!

დააჩქარეთ სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ქიმიზაციის, მიწების მელიორაციის ტემპი! განუხრელად განავითარეთ წარმოების სპეციალიზაცია და კონცენტრაცია სამეურნეობათშორისო კოოპერაციისა და აგროსამრეწველო ინტეგრაციის ბაზაზე!

32. სოფლის მეურნეობის მუშაკებო! აამაღლეთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობა! უკეთ გამოიყენეთ მიწა, ტექნიკა, სასუქი, მთელი მატერიალური რესურსები!

გაზარდეთ მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება და სახელმწიფოსათვის მიყიდვა! იბრძოლეთ პირუტყვის წარმატებული გამოზამთრებისათვის, შექმენით მომავალი წლის უხვი მოსავლის მტკიცე საფუძველი!

33. საბჭოთა კავშირის მოქალაქენო! ყაირათიანად გამოიყენეთ ჩვენი სამშობლოს ბუნებრივი სიმდიდრე, იბრძოლეთ მისი შენარჩუნებისა და გამრავლებისათვის!

34. ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და საბინაო-კომუნალური მეურნეობის მუშაკებო! უფრო ფართოდ დანერგეთ მუშაობის პროგრესული ფორმები და მეთოდები! იბრძოლეთ საბჭოთა ადამიანების მომსახურების მაღალი კულტურისათვის!

35. სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაკებო! სრულყავით აპარატის მუშაობის სტილი და მეთოდები, მტკიცედ დაიცავით სახელმწიფო დისციპლინა, აამაღლეთ პასუხისმგებლობა და ინიციატივა, გულისხმიერად მოეკიდეთ მშრომელთა საჭიროებებსა და მოთხოვნილებებს!

36. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! ყოველნაირად განამტკიცეთ შრომის სოციალისტური დისციპლინა! გააუმჯობესეთ წარმოების ორგანიზაცია! იბრძოლეთ ნედლეულის, სათბობის, ელექტროენერგიის, ლითონისა და სხვა მასალების დაზოგვისათვის!

37. საბჭოთა კავშირის მშრომელებო! თვალისჩინივით გაუფრთხილდით და ამრავლეთ სოციალისტური საკუთრება — ხალხის კოლექტიური ნაამაგარი, მთელი საზოგადოებრიობის განვითარების საძირკველი!

38. სახალხო მეურნეობის მუშაკებო! განუხრელად აიმაღლეთ პროფესიული ოსტატობა, დაეუფლეთ ეკონომიკურ ცოდნას, მეურნეობრიობისა და მართვის თანამედროვე მეთოდებს!

უფრო ფართოდ დანერგეთ წარმოებაში შრომის მეცნიერული ორგანიზაცია, მოწინავე გამოცდილება, მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები!

39. ინჟინრებო და ტექნიკოსებო! რაციონალიზატორებო და გამომგონებლებო! აქტიურად იბრძოლეთ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის!

40. საბჭოთა მეცნიერებო! აამაღლეთ მეცნიერული კვლევის ეფექტიანობა, განამტკიცეთ მეცნიერებისა და წარმოების კავშირი!

დიდება საბჭოთა მეცნიერებს, რომლებსაც ღირსეული წვლილი შეაქვთ კომუნიზმის მშენებლობაში!

41. ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებო, კულტურის მუშაკებო! მაღალ ატარეთ საბჭოთა ხელოვნების პარტიულობისა და ხალხურობის დროშა! თქვენი ნიჭი და ოსტატობა მოახმარეთ ხალხის სამსახურს, კომუნიზმის საქმეს, შექმენით ჩვენი დიადი სამშობლოს შესაფერისი ნაწარმოებები!

42. სახალხო განათლების მუშაკებო! აღზარდეთ მოზარდი თაობა კომუნიზმის იდეალების, სწავლისა და შრომისადმი შეგნებული დამოკიდებულების სულისკვეთებით! სრულყავით სახალხო მეურნეობის კადრების მომზადება!

43. ჯანმრთელობის დაცვისა და ფიზიკური კულტურის მუშაკებო! გააუმჯობესეთ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება, უფრო აქტიურად დანერგეთ ფიზიკური კულტურა საბჭოთა ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში!

44. რევოლუციის, ომისა და შრომის ვეტერანებო! ახალგაზრდობის დამრიგებლებო! აქტიური მონაწილეობა მიიღეთ საბჭოთა ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციებით ახალგაზრდა თაობის აღზრდაში!

45. პიონერებო და მოსწავლეებო! მხურვალედ გიყვარდეთ საბჭოთა სამშობლო, შეუპოვრად დაეუფლეთ ცოდნასა და შრომის ჩვევებს! ემზადეთ გახდეთ ლენინის საქმის, კომუნიზმის აქტიური მებრძოლები!

46. ძმური სალამი კომუნისტურ და მუშათა პარტიებს — იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მშვიდობის, დემოკრატიის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და სოციალიზმისათვის მტკიცე მებრძოლებს!

დაე, მტკიცდებოდეს მთელი მსოფლიოს კომუნისტთა ერთიანობა და შეკავშირება მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ურყევ საფუძველზე!

47. გაუმარჯოს პროლეტარულ ინტერნაციონალიზმს — საერთაშორისო მუშათა კლასის ნაცად და მძლავრ იარაღს!

48. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

49. ევროპის კომუნისტებო! იბრძოლეთ კომუნისტური და მუშათა პარტიების ბერლინის კონფერენციაზე დასახული მიზნების მისაღწევად!

50. ძმური სალამი სოციალისტური ქვეყნების ხალხებს! დაე, ვითარდებოდეს და მტკიცდებოდეს სოციალიზმის მსოფლიო სისტემა — ანტიიმპერიალისტური ბრძოლის გადამწყვეტი ძალა, მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის ბურჯი!

51. გაუმარჯოს სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ხალხთა ერთიანობასა და შეკავშირებას!

დაე, მტკიცდებოდეს სოციალისტური ქვეყნების კომუნისტური პარტიების ურღვევი საბრძოლო კავშირი მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ნაცადი პრინციპების საფუძველზე!

52. ძმური სალამი გმირ ვიეტნამელ ხალხს! დაე, მტკიცდებოდეს და ჰყვაოდეს ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკა — სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში მშვიდობისა და სოციალიზმის ძალების დიდმნიშვნელოვანი ფორპოსტი!

53. ძმური სალამი მამაც ლაოსელ ხალხს! დაე, მტკიცდებოდეს და ჰყვაოდეს ლაოსის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის გზას დაადგა!

54. ძმური სალამი კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა კლასს — ექსპლოატაციის, მონოპოლიების ძალმომრეობის წინააღმდეგ, ყველა მშრომელის უფლებებისათვის, მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის თავდადებულ მებრძოლს!

55. მხურვალე სალამი ხალხებს, რომლებმაც კოლონიური ხუნდები მოიშორეს და დამოუკიდებლობის განმტკიცებისათვის, განვითარების პროგრესული გზისათვის, სამართლიან, დემოკრატიულ საფუძველზე საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობის გარდაქმნისათვის იბრძვიან!

56. ძმური სალამი კოლონიური უღლისაგან განთავისუფლებულ ხალხებს, რომლებიც ვაუკაცურად იბრძვიან ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცებისა და სოციალური პროგრესისათვის!

57. მხურვალე სალამი აფრიკის ხალხებს, რომლებიც იმპერიალიზმისა და რასიზმის წინააღმდეგ, კოლონიალიზმის ნაშთების წინააღმდეგ, თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის იბრძვიან!

მსოფლიოს ხალხებო! კიდევ უფრო მძლავრად დაუჭირეთ მხარი ზიმბაბვეს, ნამიბიის, სამხრეთ აფრიკის ხალხთა ბრძოლას რასისტული რეჟიმების სრული ლიკვიდაციისათვის!

58. მხურვალე სალამი ლათინური ამერიკის ხალხებს, რომლებიც ვაუკაცურად იბრძვიან იმპერიალისტური მონოპოლიების მხრივ ჩაგვრის წინააღმდეგ, რეაქციისა და ფაშიზმის წინააღმდეგ, თავისუფალი და დამოუკიდებელი განვითარებისათვის, მშვიდობის, დემოკრატიისა და საზოგადოებრივი პროგრესისათვის!

59. დაე, მტკიცდებოდეს თანამედროვეობის სამი ძირითადი რევოლუციური ძალის — მსოფლიოს სოციალიზმის, საერთაშორისო პროლეტარიატის და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მძლავრი მძლეთამძლე კავშირი!

60. ძმური სალამი ხალხთა თავისუფლების, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მამაც მებრძოლთ, რომლებიც საპყრობილეებსა და ფაშისტურ დაბანაკებში იტანჯებიან!

ყველა ქვეყნის კომუნისტებო და მშრომელებო! უფრო აქტიურად ჩაებით ტერორისა და რეპრესიების შეწყვეტისათვის ბრძოლაში!

თავისუფლება იმპერიალიზმისა და რეაქციის ტუსაღებს!

61. ძმური სალამი ჩილეს მუშათა კლასს, ყველა მშრომელსა და დემოკრატს, რომლებიც ვაუკაცურად იბრძვიან ფაშისტური რეაქციის წინააღმდეგ!

მსოფლიოს ხალხებო! განამტკიცეთ ჩილელი პატრიოტებისადმი სოლიდარობა!

თავისუფლება ფაშისტური ხუნტის ყველა ტუსაღს!

62. მსოფლიოს ხალხებო! გააძლიერეთ ბრძოლა ისრაელის აგრესიის შედეგების სრული ლიკვიდაციისათვის, ახლო აღმოსავლეთის ყველა სახელმწიფოსა და ხალხისთვის სამართლიანი მშვიდობის დამყარებისათვის, არაბული ქვეყნების საშინაო საქმეებში იმპერიალისტური ჩარევის წინააღმდეგ!

დაე, მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს საბჭოთა კავშირისა და არაბული ქვეყნების ხალხთა მეგობრობა და თანამშრომლობა!

63. ევროპის ქვეყნების ხალხებო! შეუპოვრად იბრძოლეთ იმისათვის, რომ მთლიანად შეისახას ხორცი სრულიად ევროპის თათბირის საბოლოო აქტმა, ევროპა გახდეს მშვიდობის, უშიშროების, თანამშრომლობისა და სოციალური პროგრესის კონტინენტი!

64. მხურვალე სალამი კვიპროსის ხალხს, რომელიც თავდადებით იცავს თავის დამოუკიდებლობას იმპერიალისტური ხელყოფისაგან!

მსოფლიოს ხალხებო! მოითხოვეთ, რომ უცხოეთის მთელი ჯარები გაიყვანონ კვიპროსის ტერიტორიიდან, პატივი სცეს მის სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას!

65. მხურვალე სალამი პორტუგალიის მუშათა კლასს, კომუნისტებს, ყველა მშრომელს, რომლებიც თავდადებით იბრძვიან დემოკრატიულ მონაპოვართა შენარჩუნებისა და დამკვიდრებისათვის, თავიანთი ქვეყნის თავისუფალი, დამოუკიდებელი განვითარებისათვის!

66. მხურვალე სალამი ესპანეთის მუშათა კლასს, კომუნისტებს, მოწინავე პროგრესულ ძალებს, რომლებიც იბრძვიან თავიანთი ქვეყნის დემოკრატიული განახლებისათვის, მისი თავისუფალი და დამოუკიდებელი განვითარებისათვის!

67. აზიის ქვეყნების ხალხებო! იბრძოლეთ იმისათვის, რომ კონტინენტზე სახელმწიფოთა გაერთიანებული მეცადინეობის საფუძველზე აზიაში დამკვიდრდეს მშვიდობა, თანამშრომლობა და კეთილმეზობლური ურთიერთობა, რომ ბოლოს და ბოლო აღმოფხვრილ იქნეს უშიშროება!

68. მსოფლიოს ხალხებო! იბრძოლეთ საერთაშორისო დაძაბულობის შესუსტებისა და ყველა კონტინენტზე გავრცელებისათვის! ამხილეთ აგრესიის, რევანშიზმისა და რეაქციის ძალების — მსოფლიოსა და ხალხთა უშიშროების მტრების ხრიკები!

69. მსოფლიოს ხალხებო! იბრძოლეთ, რომ ძალის გამოუყენებლობა კანონდეს საერთაშორისო ურთიერთობაში, ხოლო ატომური იარაღი სამუდამოდ აიკრძალოს! გაძლიერეთ ბრძოლა გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის!

70. მსოფლიოს ხალხებო! მტკიცედ გაილაშქრეთ ნეიტრონული ბომბი რომ არ მოეგების წინააღმდეგ! ახალ სახეობათა საულტი იარაღის შემუშავება და მოგება უნდა აიკრძალოს!

71. გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის ლენინურ საგარეო პოლიტიკას — მშვიდობისა და ხალხთა მეგობრობის პოლიტიკას, იმპერიალიზმის, რეაქციისა და ფაშიზმის ომის წინააღმდეგ მებრძოლი მთელი ძალების შეკავშირების პოლიტიკას!

დაე, მთლიანად შეისახას ხორცი სკკპ XXV ყრილობის მიერ შემუშავებულმა პროგრამამ — მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისა, ხალხთა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის შემდგომი ბრძოლის პროგრამამ!

72. გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტურ პუბლიკების კავშირს!

73. მარქსიზმ-ლენინიზმის დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის მშენებლობის ახალი გამარჯვებებისაკენ!

**საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი**

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ

# ᲓᲐᲕᲐᲛᲙᲘᲓᲠᲝᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲡᲢᲘᲚᲘ

**ᲐᲛ ᲓᲦᲔᲔᲑᲖᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡ ᲒᲐᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲣᲚ ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲘᲗᲥᲕᲐ:**

**ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲬᲘᲚᲘᲗᲘ ᲛᲡᲒᲚᲔᲚᲝᲒᲐᲨᲘ ᲡᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲗᲐᲛᲗᲜᲝᲛᲐᲜᲘ ᲘᲒᲐᲓᲔᲑᲐ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ, ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲝᲠᲯᲝᲜᲘᲙᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲒᲘᲡ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲛᲒᲘᲚᲝ ᲫᲐᲠᲗᲕᲜᲘᲡ ᲨᲐᲡᲘᲡ ᲡᲐᲐᲛᲫᲠᲝᲨᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲛᲐ ᲬᲘᲜᲐᲓᲐᲓᲔᲑᲐ ᲬᲐᲛᲝᲐᲧᲔᲜᲔᲡ ᲡᲐᲐᲜᲑᲐᲠᲘᲝᲛ-ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲘᲬᲧᲝᲜ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲐᲛᲫᲠᲝᲨᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐᲜᲝᲡ ᲐᲡᲢᲐᲛᲐᲯᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲩᲕᲔᲜ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲫᲘᲠᲗᲗᲐᲓᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲐᲦᲤᲐᲠᲗᲝᲕᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲡᲣᲚᲘᲗᲐ ᲛᲘᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲗ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲫᲘᲠᲗᲐᲓᲘ ᲙᲐᲜᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲐᲛᲫᲠᲝᲨᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲬᲐᲛᲝᲐᲧᲔᲜᲔᲡ ᲡᲐᲐᲜᲑᲐᲠᲘᲝᲛ-ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲖᲔ ᲓᲐᲘᲬᲧᲝᲜ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲞᲘᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲠᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲐᲛᲫᲠᲝᲨᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲚᲐᲓ ᲓᲐᲜᲝᲡ ᲐᲡᲢᲐᲛᲐᲯᲚᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲗ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔ

# აყვავდი აფხაზეთო, შრომისა და პოეზიის მხარეო!

## საზეიმო სხდომა და აფხაზეთის ხელოვნების ოსტატთა კონცერტი თბილისში

**ღრმად** სიმბოლურია, რომ დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის წინ, იმ დღეებში, როცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლეონიდ ილიას-ძე ბრეჟნევის თქმით, ახალი საბჭოთა კონსტიტუცია უკვე მოქმედებს, ცოცხლობს და მუშაობს, თბილისში მიმდინარეობს აფხაზეთის სსრ რესპუბლიკის დღეები, რომელიც საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობისა და ძმობის შესანიშნავ ფენომენსტრაციად გადაიქცა.

ძველი, მაგრამ მარად ჰაეუკი აფხაზეთი, მისი გამჭრიე და ნიჭიერი ხალხი ამ დღეებში თავის ძმებს ანგარიშს აბარებს საბჭოთა აფხაზეთის სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მშრომელების, სახალხო ინტელიგენციის სახელოვანი საქმეების შესახებ.

მრავალეროვანი აფხაზეთის მიერ სახალხო მეურნეობისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში მოპოვებული წარმატებანი გულწრფელად ახარებს ჩვენი რესპუბლიკის თითოეულ მშრომელს.

„კაცი მოყვრით არის, ხე ფესვებით დგასო", — ღაღადებს აფხაზური ხალხური სიბრძნე. შოთა რუსთაველმა კი თავის უკვდავ „ვეფხისტყაოსანში" თქვა „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერიაო".

ორი მოძმე ხალხის გულის სიღრმიდან ამოხეთქილი ამ სიტყვების სისწორეში დარწმუნდა ყველა, ვინც 15 ოქტომბერს დაესწრო საზეიმო სიხდოს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში.

საქართველოს დედაქალაქის ცენტრალური საკონცერტო დარბაზი სადღესასწაულოდ მორთულა. ნაირფერ ტრანსპარანტებზე ეკითხულობთ გულთბილ და გულითად სიტყვებს. თბილისელები მიესალმებიან აფხაზეთის წარმოგზავნილთ და მათ სახით მზიერი აფხაზეთის ყველა მშრომელს, რომლებიც საბჭოთა ხალხთან ერთად გულდაჯერებით აშენებენ ჯაყობრობის ნათელ მომავალს — კომუნიზმს.

შეკრებილნი გულთბილად მიესალმნენ აფხაზეთის დელეგაციას, რომელსაც სათავეში ედგა ანგარიშ-ანგარიშ ... საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი ვ. ხინბა, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. შინკუბა, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. საყვარელიძე. დარბაზი მიესალმება საყოლმეურნეო მინდვრების სახელგანთქმულ მშრომელებს ალექსანდრა ჯოუბას, ნაზიბრილა ხასიას, ენბოელ პოეტს ივანე თარბას და აფხაზი ხალხის სხვა სახელოვან წარმომადგენლებს.

პრეზიდიუმში ირიან ამხანაგები ბ. ჯალაშვილი, ა. ინაური, გ. კოლბინი, თ. მენთეშაშვილი, ზ. პატარიძე, ჯ. პატაშვილი, ე. შეკვარდნაძე, ... შარტავა, ს. ხაბეიშვილი.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა თ. მენთეშაშვილმა.

ფლეს, თქვა მან, მოძმე ქართველი ხალხი გულთბილად მიესალმება აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის წარმომადგენლებს.

ჩვენი ძველი, მაგრამ მარად ახალგაზრდა ქალაქი ამ დღეებში მეგობრებთან ამ ამაღელვებელი შეხვედრის შთაბეჭდილებით ცხოვრობს.

დღეს ამ დარბაზში ჩვენთან ერთად არიან აფხაზეთის წარჩინებული ადამიანები ავტონომიური რესპუბლიკის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, მშრომელი ინტელიგენციის წარმომადგენლები, მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის მოღვაწეები, პარტიული, საბჭოთა მუშაკები, საზოგადო მოღვაწენი. ხიბი მიბიძეთ ყველა თბილისელის სახელით გულთბილად მივესალმო ჩვენს ძვირფას სტუმრებს — აფხაზეთის დელეგაციის წევრებს, ზეიმის ყველა მონაწილეს, მათა სახით კი მთელ მოძმე აფხაზ ხალხს.

ჩვენ, თბილისელებს, ისევე როგორც რესპუბლიკის ყველა მშრომელს, გულწრფელად გვახარებს საბჭოთა ხელისუფლების წლებში აფხაზეთში მომხდარი უდიერესი გარდაქმნები.

ჩვენი აფხაზი მეგობრების საქმეებისა და წარმატებებისათვის სწორედ ასეთი გულწრფელი სიხარულისა და სიამაყის გრძნობით ყოო გამსჭვალული ამ დღეებში თბილისში გამართული გულითადი შეხვედრები დმიტროვის სახელობის ქარხნის კოლექტივთან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან და მასწავლებლებთან, კინემატოგრაფისტებთან, პარტიის ვეტერანებთან, ხელოვნების, ლიტერატურის, მეცნიერების მოღვაწეებთან.

ჩვენს მეგობრობას ისტორიის ჭალარა წარსულში აქვს ფესვები გადგმული, იგი შეღუღაბებულია მტრების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლით, გამსჭვალულია დიადი ლენინური იდეების ცხოველმყოფელი ძალით. დღეკანდელი ჩვენი შეხვედრა კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელია დიდი და ნათელი წიგნისა, რომელსაც ძმობა ჰქვია.

გულთბილად მივესალმნენ შეკრებილნი საქართველოს კომპარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის ვ. ხინბას გამოსვლას, რომელმაც აღნიშნა, რომ საქართველოს დედაქალაქთან საზეიმო შეხვედრისათვის აფხაზეთის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მშრომელები ემზადებოდნენ როგორც დიდი დღესასწაულისათვის. ამ ზეიმს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ის გარემოება, რომ იგი. მშვიდობიანობის დიდი პოლიტიკური და შრომითი ლომაკლობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის მიღებით, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 60 წლისთავის ღირსშესანიშნავი იუბილესთვის აქტიური მზადებით. იმის გრძნობა, რომ ვეუფლებით ხალხთა ერთიან მრავალეროვნულ სოციალისტურ ოჯახს, „ერთიანი ოჯახის" გრძნობა ჩვენთვის ახალ წარმატებათა მიღწევის წყარო გახდა. ჩვენ მუდამ გვახსოვს ქართველი და აფხაზი ხალხების დიდი მეგობრობა, რომელსაც უძველეს წარსულში აქვს ფესვები გადგმული. როცა მხოლოდ ჩვენი ხალხების ერთობასა და შეკავშირებას შეეძლო უზარმაზარ ... დამოუკიდებლობისა და ეროვნული ... ... ...

16 ოქტომბერი კვების მრეწველობის მუშაკთა დღე

# ხარისხი უპირველეს ყოვლისა

● ავამოქმედოთ ფიდა რეზერვები ● მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს ფართო გზა

**რესპუბლიკის** კვების მრეწველობის მუშაკთა მრავალათასიანი კოლექტივი ხელხვავიანი ეგებება თავის დღესასწაულს — კვების მრეწველობის მუშაკთა საკავშირო დღეს. სასიამოვნო და სასიხარულოა ის თაქი, რომ დღევანდელი ჩვენი დღესასწაული ქვეყნის ცხოვრებაში დიდი მოვლენის — ოქტომბრის მესამოცე წლისთავის წინა დღეებში აღინიშნება და ემთხვევა მეორე არანაკლებ მნიშვნელოვან მოვლენას — მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ახალი ძირითადი კანონის მიღებას.

საიუბილეო წელს კვების მრეწველობის მუშაკებმა თვალსაჩინო და დაუღალავი შრომით, მეცნიერებისა და ტექნიკის, მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვით, საწარმოო რეზერვების მაქსიმალური გამოვლენებით, ხელმძღვანელობის სტილისა და მეთოდების თანამედროვე მოთხოვნათა გათვალისწინებითა და სრულყოფით მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს. მიღწეულზე თვალნათლივ მეტყველებენ განცალკევებული ცხრა თვის მაჩვენებლებიც. მთლიანი პროდუქციის წარმოება გვიან 102,6 პროცენტით შესრულდა, წლიური ვალდებულება, რომ კვების ალდამტებით 37,5 მილიონი მანეთის პროდუქცია იწარმოებინა, სამინისტრომ 9 თვეში, სესიის გახსნის დღისათვის გადაჭარბებით შეასრულა. კვების ალდამტებით რეალიზებულია 31,3 მილიონი მანეთის პროდუქცია.

**გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, პროდუქციის ზრდის ტემპმა,** ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 3.8 პროცენტისა, 6.8 პროცენტი შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ძირითადი გეგმების შესრულებასთან ერთად სამინისტროს ყველა საწარმოო გაერთიანებამ მრავალ სახეობაში გადაჭარბებით შეასრულა დიდი ოქტომბრის მესამოცე წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებები. აქვე უნდა დავძინო ისიც, რომ სამინისტროს სისტემაში მთლიანი პროდუქციის მატება ძირითადად შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად აღრის მიღებული.

საიუბილეო წელს მაღალ მაჩვენებლებს მიაღწია გაერთიანება „საქჩაის“ კოლექტივმა.

სამინისტროს მიერ მიღწეული წარმატებები ბევრად განაპირობეს მახარაძის, ზუგდიდის, წყალტუბოს და ჩაის მრეწველობის სხვა საწარმოო გაერთიანებებმა, საწარმოო გაერთიანება „თბილისღვინომ“. კონიაკის კომბინატმა, აეჩალისა და ქუთაისის შუშის ქარხნებმა, „ბორჯომის“ საწარმოო გაერთიანებამ. ჩაის საწონმა ფაბრიკამ, აჭარის საკონსერვო კომბინატმა, ლანჩხუთის საკონსერვო ქარხანამ და სხვებმა.

როგორც ცნობილია, მიღწეული ხუთწლედი ხარისხისა და ეფექტიანობის ხუთწლედად და დღეს ჩვენს ზემოზე არ შეიძლება არ აღვნიშნოთ, რომ სისტემის საწარმოებში ამ ნაზით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგმული. თუ 1976 წელს ჩვენი მრეწველობა 84 დასახელების სახელმწიფო ხარისხისნიშნიან პროდუქციას უშვებდა, მიმდინარე წლის განვლილ თვეებში ამ რიცხვმა 106 მიაღწია, ხოლო პროდუქციის საერთო მოცულობაში იგი 6 პროცენტს შეადგენს.

**მაღალი მაჩვენებლები აქვს ხარისხისნიშნიანი პროდუქციის გამოშვების საქმეში საბრეწველო გაერთიანება „სამტრესტს“,** რომლის ორი საწარმოს — კონიაკის და შამპანური ღვინოების ქარხნების მიერ გამოშვებული პროდუქცია მთლიანად უმაღლესი კატეგორიისაა. კარგი მაჩვენებლები აქვს საკონდიტრო და ჩაის საწარმოებსაც.

განსაკუთრებული ყურადღება ეჩქცევა ახალი პროდუქციის ათვისებასა და გამოშვებას, ასორტიმენტის შემდგომ გაფართოებასა და გაუმჯობესებას. განვლილ 9 თვეში თვითსებული და გამოშვებულია 35-ზე მეტი დასახელების ახალი სახის პროდუქცია.

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მრავალათასიანი კოლექტივი ყველაფერს იღონებს იმისათვის, რათა ცხოვრებაში განუხრელად განახორციელოს სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების ისტორიული გადაწყვეტილებანი.

**თ. ჯაბადარი,**

საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის პირველი მოადგილე.

**ბოლოს** მოპოვებული მნიშვნელოვანი წარმატებებით ეგებებიან თავიანთ დიდ დღესასწაულს — კვების მრეწველობის მუშაკთა კომბინატის მშრომელები. ქართველი მეკონიაკეები, რომელთა პროდუქციასაც კარგად იცნობენ და აფასებენ როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მის ფარგლებს გარეთ, ჩვეულებისამებრ საიუბილეო წელსაც მაღალ საწარმოო მაჩვენებლებს აღწევენ და ხელდამშვენებულნი ეგებებიან ჩვენი ქვეყნის დიად იუბილეს — დიდი ოქტომბრის მესამოცე წლისთავს.

სურათზე: კომბინატის საექსპორტო პროდუქციის მოწინავე მუშები კომკავშირლები იზო კაკალაშვილი და ციცინო თაბაგარი.

ს. კილაძის ფოტო.

ჭადრაკი

# მაღალი ნოდებანი — საბჭოთა მოჭადრაკეებს

**კარაკასი, 15 ოქტომბერი.** (საკუთარი სპეც. კორ. ჭადრაკის ოსტატი ა. როშალი). ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ საერთაშორისო დიდოსტატის წოდება მიანიჭა ათ მოჭადრაკეს, რომელთა შორის ოთხი ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელია. ესენი არიან ოდესელი ლ. ალბურტი, თბილისელი თ. გიორგაძე, ჩელიაბინსკელი ე. სვეშნიკოვი და ლენინგრადელი ა. კოჩიევი.

საერთაშორისო ოსტატები გახდნენ ლვოველები ი. დორფმანი და ა. მიხალჩიშინი, მოსკოველი ი. ვატნიკოვი, მინსკელი ვ. კუპრეიჩიკი, ოდესელი ხ. პალატნიკი, ჩელიაბინსკელი ა. პანჩენკო, როსტოველი ა. ზახაროვი და მოსკოველი მ. ცეიტლინი.

ქალთა შორის საერთაშორისო დიდოსტატეს წოდება მიიღეს კრასნოიარსკელმა ე. ახმილოვსკაიამ, მოსკოველმა ე. ფატალიბეკოვამ და 16 წლის თბილისელმა ჩიბურდანიძემ — პრეტენდენტთა შეჯიბრების ფინალისტმა.

ჭვეყნის ექს-ჩემპიონები მოსკოველები ა. ახშარუმოვა და ლ. ბელავენეცი, ავრეთვე ტალინელი ტ. ფომინა საერთაშორისო ოსტატები გახდნენ.

საერთაშორისო არბიტრის დიპლომები გადაეცემათ მოსკოველ ვ. დვორკოვიჩს, მინსკელ კ. ზვორიკინას, კუიბიშეველ ნ. კრავჩუკსა და ერევნელ ა. ხაჩატრიანს.

ფეხბურთი

# ოთხშაბათს კოკენჰაგენში

**ოთხშაბათს,** 19 ოქტომბერს იწყება ევროპული ფეხბურთის მორიგი ტურის მატჩები. როგორც ცნობილია, უეფას თასზე თბილისის „დინამოს“ ოსტატ ფეხბურთელთა გუნდი მეოქეესმეტედ ფინალის პირველ თამაშში კოპენჰაგენში შეხვდება დანიის „ბკ კოპენჰაგენს“.

ამ ქვეყნის ჩემპიონატში თექვსმეტი გუნდი მონაწილეობს. დღეს, 16 ოქტომბერს გაიმართება დანიის პირველობის ოცდამეხუთე ტური. თბილისელთა მომავალი მეტოქე ეთამაშება „ვეილს“. ამ მატჩზე დასასწრებად კოპენჰაგენში უკვე ჩაფრინდა თბილისის „დინამოს“ უფროსი მწვრთნელი, სსრ კავშირის სპორტის ოსტატი ნ. ახალკაცი.

თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელები და მწვრთნელი, სსრ კავშირის სპორტის ოსტატი ს. კუტიავაძე დღეს მიეგზავრებიან კოპენჰაგენს. შემადგენლობაშია — მეკარეები: დ. გოგია და ო. გაბელია, მცველები: თ. კოსტავა, ფ. კანთელაძე, შ. ხინჩაგაშვილი, დ. მუჯირი, ნ. ხიზანიშვილი; ნახევარმცველები: ა. ჩივაძე, მ. მაჩაიძე, ვ. ქორიძე, ვ. დარასელია, გ. მაჩაიძე, ვ. კოპალეიშვილი, თავდამსხმელები: დ. ყიფიანი, ვ. გუცაევი, რ. ჩელებაძე და რ. შენგელია.

# ერთ-ერთი უძლიერესი

**საფრანგეთის პრესა სსრ კავშირის ნაკრებთან მატჩის შესახებ**

**პარიზი.** „თავისთავად, ფრედ დამთავრებული მატჩი საბჭოთა გუნდთან ურიგო შედეგი როდია. თუმცა საბჭოთა ფეხბურთელები გამოეთიშნენ მსოფლიო თასისათვის ბრძოლას, ისინი მაინც რჩებიან ევროპის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ და საინტერესო გუნდად“, — წერს გაზეთი „ეკიპი“ თავის კომენტარში საფრანგეთ-სსრ კავშირის ნაკრები გუნდების 8 ოქტომბრის მატჩის შესახებ. ეს ფრანგული სპორტული გაზეთი დეგატიანიოვს „ლევ იაშინის ღირსეულ მემკვიდრეს“ უწოდებს.

„შექმნილია გუნდი, რომელიც ერთმანეთს უხამებს საბჭოთა ფეხბურთელებისათვის დამახასიათებელ პრინციპს — თამაშის გეგმის მკაცრად დაცვას და იმ წარმოდგენას, რომელიც „ევის „დინამოს“ სჩვევია“, — ალნიშნავს „ფიგარო“.

როგორც საკვლევის კორესპონდენტი იტყობინება, გაზეთ „ორორის“ აზრით „საბჭოთა გუნდი ერთ-ერთი უძლიერესია მსოფლიოში და მასთან მატჩის ფრედ დამთავრება ნებისმიერ შემთხვევაში დამაკმაყოფილებელი შედეგია“.

# ᲛᲐᲘᲐ ᲩᲘᲒᲑᲣᲠᲓᲐᲜᲘᲫᲔ

მაია ჩიგბურდანიძე



თამაზ გიორგაძე

# გუშინ ქიევში

**გუშინ** ქიევში გაიმართა უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის გამოტოვებული მატჩი გალამშვილის ლიდერის ადგილისთვის „დინამოსა“ და მათს მოსკოველ თანაკლუბელებს შორის. მატჩი დამთავრდა ფრედ — 0:0.

კალათბურთი

## ᲛᲘᲔᲜᲘᲭᲐ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲬᲝᲓᲔᲑᲐ

**საერთაშორისო** ფედერაციამ ჩვენი ქვეყნის საკავშირო კატეგორიის თორმეტ მსაჯს მიანიჭა საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის წოდება. მათ შორის არის თბილისელი მურმან ალექსანდრეს ძე ჭურიძე.

ჭიდაობა

# ოთხი ოქრო

**აშხაბადში** დამთავრდა პროფკავშირების საკავშირო პირველობა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შორის, სადაც წარმატებით იასპარეზეს ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენებმა. მათ ოთხი ოქროს, ერთი ვერცხლის და ორი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. ჩემპიონები გახდნენ თბილისელები პ. კაჭახიძე („ლოკომოტივი“, მწვრთნელი ლ. ძაგანია), ნ. როსტომაშვილი, ვ. ველაშვილი („ვანთიადი“, მწვრთნელი ო. შოშიტაშვილი), ზ. ვარდოშვილი („ბორევანტნიკი“, მწვრთნელი გ. როსტომაშვილი).

# „სპორტლოტო“

**გაცნობებთ** „შაბათის სპორტლოტოს“ (36-დან 5) 15 ოქტომბერს გამართული ტირაჟის შედეგებს.

**პირველი ტირაჟი:** 19 (სათხილამურო რბოლა), 8 (საგზაფაცალო ველორბოლა), 18 (მძლეოსნობა), 5 (თავისუფალი ჭიდაობა), 3 (ბობსლეი).

**მეორე ტირაჟი:** 32 (ფარიკაობა), 15 (ძიუდო), 2 (ბიატლონი), 23 (წყალტრამა), 13 (აკადემიური ნიჩბოსნობა). (საკდესი).

# ᲛᲐᲦᲚᲝᲑᲐ ᲔᲥᲘᲛᲡ

**სულ** მალე მთელი ჩვენი ქვეყანა იდღესასწაულებს საბჭოთა სახელმწიფოს მე-60 წლისთავს.

ჩემთვის კი ეს წელი ორმაგად სადღესასწაულოა. აქ, თბილისში, პროფესორმა ს. ხეჩინაშვილმა გამოკეთა ოპერაციე და დამიბრუნა სმენა. დიდი ხანია სრულიად გამოთიშული ვიყავი გარესამყაროს ხმოვანებას. სიტყვები არ მყოფნის გამოვხატო ჩემი უღრმესი მადლობა იმ საოცარი ექიმისადმი, ლანდაურ-ლანდაურ ... ... ...